ხელშეკრულება №72

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. სიღნაღი

27 მაისი 2011 წ.

სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობა, გამგებლის ნოდარ კოჭლამაზაშვილის სახით, შემდგომში „დამკვეთი", ერთის მხრივ და შ.პ.ს. „ნიუ არქიტექტი", მისი დირექტორი ზაზა წიკლაურის სახით, მეორე მხრივ, შემდგომში „შემსრულებელი" „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების საფუძველზე ვდებთ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია სიღნაღის მუნიციპალიტეტის დაკვეთით „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში დაფინანსებული სამშენებლო სამუშაოების საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების შესრულება.

2. ღირებულება, ფინანსური პირობები და ანგარიშსწორების წესი

2.1. მომსახურების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 10590 ლარს.

2.2. შემსრულებელი უფლებამოსილია მოითხოვოს ჯამური ღირებულების 40% წინასწარი ანგარიშსწორების ფორმით, მხოლოდ წარმოდგენილი საბანკო ან სადაზღვევო გარანტიის საფუძველზე.

2.3. საბოლოო ანგარიშსწორება მოხდება წარმოდგენილი მასალების და შესრულებული სამუშაოს აქტის საფუძველზე.

3. გასაწევი მომსახურების ვადები

3.1. მომსახურეობის დაწყების ვადაა – 2011 წლის 27 მაისი.
მომსახურეობის დასრულების ვადაა – 2011 წლის 27 ივნისი.

4. მომსახურეობის შესაბამისობა

4.1. შემსრულებელი ვალდებულია საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო სამუშაოები შეასრულოს ხარისხიანად, მოქმედი სამშენებლო ნორმების შესაბამისად, გრაფიკებისა და ტექნოლოგიური თანამიმდევრობის დაცვით.

4.2. 4.1. პუნქტში აღნიშნული წესებიდან და ნორმებიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია შემსრულებლისაგან არ მიიღოს გაწეული მომსახურება ან/და მის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდება თითოეულ წარმოდგენილ პროექტსა და ხარჯთაღრიცხვაზე, წარმოდგენილი ფორმა №2-ის საფუძველზე.

5.2. მომსახურეობა საბოლოოდ ჩაბარებულად ჩაითვლება დამკვეთსა და შემსრულებლის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსრულებელი ვალდებულია:

ა) მომსახურების შესრულების პროცესში იხელმძღვანელოს ამ ხელშეკრულების მეოთხე მუხლში გათვალისწინებული წესებითა და პირობებით;

6.2. დამკვეთი ვალდებულია:

ა) შეუფერხებლად აუნაზღაუროს შემსრულებელს შესრულებული მომსახურების ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების შესაბამისად.

6.3. მხარეებს არა აქვთ უფლება შეიტანონ მომსახურების პირობებში ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

7. პასუხისმგებლობა

7.1. ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დამრღვევი მხარე ვალდებულია მეორე მხარის მოთხოვნით გადაუხადოს მას პირგასამტეხლოს სახით ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.3% და უზრუნველყოს დარღვეული ვალდებულებების დაუყოვნებელი (ან მეორე მხარის პირველი მოთხოვნისთანავე) შესრულება.

7.2. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცილებისათვის გადახდილი (ან გადასახდელი) პირგასამტეხლოს მთლიანი თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%, მეორე მხარე უფლებამოსილია ვადამდე ცალმხრივად შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების მოქმედება.

7.3. დამკვეთი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლდება იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს მთავრობამ შეუჩერა დამკვეთს გადახდა, საიდანაც კონტრაქტორს ეკუთვნოდა ანაზღაურება.

8. სხვა პირობები

8.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მომსახურების საბოლოო ჩაბარებამდე.

8.2. დამკვეთი უფლებამოსილია ვადამდე ცალმხრივად შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების მოქმედება თუ:

ა) შემსრულებელი არღვევს ამ ხელშეკრულების პირობებს (არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს);

ბ) მიმდინარეობს შემსრულებლის რეორგანიზაცია, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია მოახდინოს ხელშეკრულების ჯეროვან შესრულებაზე;

8.3. იმ შემთხვევაში, თუ კონტრაქტი წყდება დამკვეთის მხრიდან, დამკვეთი ვალდებულია გადაუხადოს კონტრაქტორს შესრულებული მომსახურების მთელი მოცულობის, კონტრაქტის გაწყვეტის თარიღამდე წინასწარი გადახდის გამოკლებით.

8.4. ნებისმიერი გადახრა ან ცვლილება ამ ხელშეკრულების პირობებში დაიშვება მხოლოდ ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორების საფუძველზე.

8.5. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.6. მხარეთა შორის წარმოშობილი სადაო საკითხები წყდება ურთიერთშეთანხმებითა და მოლაპარაკების გზით, იმ შემთხვევაში, თუ

შეთანხმება არ იქნება მიღწეული, დავა გადაწყდება სასამართლოს მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილებისათვის შემსრულებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ გადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო თუკი ადგილი ექნება ვალდებულების ნაწილობრივ შეუსრულებლობასმ პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

9.2. გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში შემსრულებელი უფლებამოსილია დააკისროს დამკვეთს პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ გადაცილებულ დღეზე გადასახდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით.

10. ხელშეკრულების საერთო პირობები

გამოყენებული ტერმინების განმარტებები:

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

10.1.„ხელშეკრულება“ – დამკვეთსა და შემსრულებელს შორის დადებულ ხელშეკრულებას, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით და ასევე დოკუმენტაციით, რომელზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებული.

10.2.„ხელშეკრულების ღირებულება“ – ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს დამკვეთმა ორგანიზაციამ შემსრულებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული შესრულებისთვის.

10.3.„დამკვეთი“ – ნიშნავს ორგანიზაციას, რომელიც ახორციელებს დაკვეთას.

10.4.„შემსრულებელი“ – ნიშნავს ორგანიზაციას, რომელიც ახორციელებს სამუშაოებს მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში.

10.5.„დღე“, „კვირა“, „თვე“, „წელი“ – ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, წელს.

11. მხარეთა რეკვიზიტები

სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგებელი ქ. სიღნაღი, დ. აღმაშენებლის №2 საიდ. კოდი: 240417223 ანგარიშის № 33034575	ბ.ა.	ნ. კოჭლამაზაშვილი
შ.პ.ს. „ნიუ არქიტექტი“ საიდ. კოდი: 440388037 ს/ს „თი-ბი-სი- ბანკი“ სიღნაღის ფილ. ბანკის კოდი 220101819 ა/ა 95236020100004	ბ.ა.	ზ. წიკლაური

სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ დაკვეთილი საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა

სამუშაოს დასახელება	ხელფასი	სხვადასხვა ხარჯი	სულ
საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების შესრულება (დანართის მიხედვით)	7396	1200	8596
ზედნადები ხარჯი 12%			1031,5
ჯამი			9627,5
გეგმიური დაგროვება 10%			962,8
ჯამი			10590

შემსრულებელი: შპს „ნიუ არქიტექტი"

დირექტორი: ზ. წიკლაური

ვამტკიცებ: ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ზედამხედველობის სამსახურის უფროსი:

ს. ლებნიაშვილი